პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 256 (19997) ხუთშაბათი, 5 ნოემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, ლენინური პარტიის, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის მონაწილენი, ღირსსახსოვარი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის დღეებში — მთელ პარტიასთან და საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდეს სიამაყეს განვიცდით ჩვენი საყვარელი სამშობლოს, კომუნისტური პარტიისათვის, რომელსაც ლენინური ცენტრალური კომიტეტი მიუძღვის.

ყოველ ჩვენგანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მოხსენებამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე. უაღრესად სწორად მიგვაჩნია მოხსენების აზრი, სახელდობრ, ის, რომ ოქტომბრის რევოლუცია გახდა მშრომელთა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის პრაქტიკისა და იდეების განვითარების შედეგი, რომ XX საუკუნეში ვერ იცლი წინ, თუ არ მიდიხარ სოციალური ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმის — სოციალიზმისაკენ.

დიდი გმირული გზა გამოიარა საბჭოთა ხალხმა შვიდი ათწლეულის მანძილზე, და მის ყოველ თაობას თავისი საგრძნობი წვლილი შეჰქონდა ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში, სოციალიზმის იდეების დამკვიდრებაში. ბევრი ჩვენგანი იყო დიდი ლენინის თანამედროვე, იბრძოდა და მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით იატაკქვეშეთში, სოციალისტური რევოლუციის მზადების პერიოდში, მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, მის დაცვაში სამოქალაქო ომის ფრონტებზე, სამეურნეო გაპარტახების დასაძლევად ბრძოლაში, სოციალისტური საწყისების დამკვიდრებაში. ჩვენ წილად გვხვდა დიდი ბედნიერება ხორცშესხმული გვეხილა ლენინის ოცნება, რომ წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა ქცეულიყო დიად სოციალისტურ სახელმწიფოდ — პროგრესული კაცობრიობის წამყვან ძალად, მთელი მსოფლიოს ხალხთა საიმედო დედაბოძად.

თმაგაჭაღარავებულთ, მაგრამ სულით ახალგაზრდებს, ჩვენ ამაყად ვრაცხთ თავს ოქტომბრის პარტიის, გამარჯვებული სოციალისტური პარტიის მებრძოლებად, რომელიც დღეს რევოლუციური გარდაქმნის პარტია გახდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოგვყვა ბრძოლისა და გამარჯვებების დაუვიწყარი ლენინური გაკვეთილები, მისი მეცნიერება — დავიცვათ ოქტომბრის რევოლუციური ტრადიციები, და ამიტომ განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით ვუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიის ნოვატორულ კურსს, პარტიისას, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განახლების ერთიანი კონცეფცია შექმნა და იგი მტკიცე პრაქტიკულ რელსებზე დააყენა.

ჩვენ გვესმის, რომ განახლება ვერ განხორციელდება სინდესელთა დაუძლეველად. საზოგადოების თითოეულ წევრზე — ყოველ კომუნისტზე, უწინარესად საერთო საქმეში მის პირად წვლილზეა დამოკიდებული გარდაქმნის ბედი. ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცების, მათი ინტერესების დაცვის, პარტიის ავანგარდული როლის ნამდვილი გაძლიერების შესახებ ლენინური ანდერძის შესრულების გზს, რომელიც განუხრელად ხორციელდება.

ეჭვი არ გვეპარება პარტიის პოლიტიკის ცხოვრებისეულ ძალაში, იმაში, რომ საბჭოეთი გარდაქმნიდან კიდევ უფრო გამძლავრებული გამოვა, რომ გარდაქმნის გზებზე პარტიისა და ხალხის დაძაბული მუშაობის შედეგად სოციალისტურ პრაქტიკაში სრულად გაიმარჯვებს ლენინური იდეები და განვითარდება.

პარტიის მიერ ამორჩეული და ხალხისათვის შეთავაზებული გზა ერთადერთი სწორი გზაა, რომელიც ცხოვრების მოთხოვნილებებს შეესაბამება. ალტაცებული ვართ იმით, რომ ოქტომბრის ლენინარმა პარტიამ, რომლის ძველ ჯარისკაცებსაც ამაყად ვუწოდებთ თავს, გაბედულად იტვირთა მთელი ძნელი პასუხისმგებლობა მისი საქმის განმგრძობი რევოლუციური გარდაქმნების ბედისათვის და თავად გაუძღვა მათ. ყოველივე ეს პარტიისაგან, ისევე როგორც 70 წლის წინათ, მოითხოვს ძლიერ პოლიტიკურ ნებისყოფას, რკინისებრ დისციპლინას, თამამ და ინიციატივიან მოქმედებას. ისტორიული გამოცდილება მოწმობს: ლენინის პარტიას, რომელიც მასებთან განუყოფელი კავშირით მოქმედებს, ხელეწიფება ასეთი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა. და შემთხვევითი როდია, რომ დადებით ძვრებს უკვე ვხედავთ.

გულწრფელი კმაყოფილების გრძნობას გვანიჭებს ის, რომ ლენინის პარტია სათავეში ედგა ამჟამად ფართოდ გაჩაღებულ დემოკრატიულ პროცესებს, რომლებმაც მოიცვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობა, ცხოვრების ყველა სფერო, რომ პარტიის საქმიანობაში განსაკუთრებით სრულად არის უზრუნველყოფილი ლენინური პრინციპები, მუშაობის ლენინური სტილი. ჩვენ ფრთას გვასხამს პარტიის ოპტიმიზმი ჩვენი ქვეყნის მომავლისადმი. მთელ ხალხთან ერთად არ დავანებებთ კონსერვატიზმის ძალებს სახელი გაუტეხონ გარდაქმნას, გამოიყენონ არსებული სიძნელენი დაბრკოლების ძველი მექანიზმის შესანარჩუნებლად ან ახლის შესაქმნელად.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის გეზს, რასაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს პარტიის ნაცადი იარაღის — კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო გამოყენება, საჯაროობის პირობებისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის ყოველმხრივი უზრუნველყოფა. „მეტი დემოკრატია — მეტი სოციალიზმი“ — ამ სიტყვებმა მხურვალე გამოხმაურება ჰოვა ჩვენს გულში. ჩვენ მთელი არსებით ვუჭერთ მხარს პარტიის კურსს, რათა „მოვუმატოთ“ მუშაობას ყველა დონეზე, ყველა ეშელონში, რათა მივაღწიოთ საბოლოო მიზანს — მაქსიმალურად „მოვუმატოთ“ სოციალიზმს. ეს საკითხის ნამდვილად ლენინური დაყენებაა!

ასაკის მიუხედავად, ვეტერანები განზე როდი უდგანან გარდაქმნის საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრას. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ უწინარესად იმას, რომ აღვზარდოთ ახალი თაობები, ისინი, ვინც ჩვენ შეგვცვლის, და გვწამს, რომ ისინი ღირსეულ წვლილს შეიტანენ საერთო საქმეში. ჩვენ მხარს ვუჭერთ პარტიას და სოციალისტურ რევოლუციური განახლების ყველა პარტიისეულ გეგმას, მიგვაჩნია ეს ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში დაწყებული საქმის უშუალო განგრძობად. ყოველნაირად მივესალმებით იმ სიმტკიცესა და შეუპოვრობას, რომლითაც ცენტრალური კომიტეტი აბრკოლებს თავისი აპრილის პლენუმის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გეზს.

კომუნისტთა უფროსი თაობის სახით, იმათი სახით, ვისაც პირადად განუცდია გამარჯვების სიხარული და მარცხის სიმწარე, გამოუსწორებელი დანაკლისის სიმძიმე, მოვუწოდებთ ლენინური პარტიის ყველა წევრს, საბჭოეთის ყველა მშრომელს გაზარდონ პირადი პასუხისმგებლობა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე მიმდინარე გარდაქმნისთვის, გააძლიერონ თითოეული პარტიული ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ყოველი საბჭოს ინიციატივიანობა და მებრძოლურობა. ამ კურსისათვის მებრძოლთა მწყობრში ადგილი მოეძებნება ყველას, ვინც რევოლუციური ტრადიციების ერთგულია, უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და უსურვებს მათ აყვავებასა და მშვიდობას.

ჩვენთვის ახლოელი და ძვირფასია ოქტომბრიზმითა და პასუხისმგებლობით აღსავსე ფორმულა „ჩვენ ყველანი ოქტომბრის შვილები ვართ“. საჭიროა, რომ ისტორია „მუშაობდეს“ დღევანდელი დღის სასიკეთოდ, მომავლის საკეთილდღეოდ, გვეხმარებოდეს დავინახოთ ხარვეზები და თავიდან ავიცილოთ შეცდომები, რათა იგი არ იყოს „უსახური“.

ვიზიარებთ რა საყოველთაო შეშფოთებას იმის გამო, რომ მესამე ათასწლეულს მიახლოებული მსოფლიო განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის იდეას და იმ კარდინალურ ნაბიჯებს, რომლებიც საბჭოთა მხარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გადადგა მისი პრაქტიკული ჩამოყალიბებისა ამ სფეროში ახლებური პოლიტიკური აზროვნების გამომუშავების გზაზე. ჩვენი იდეალია უიარაღო და უძალადო მსოფლიო, მსოფლიო, რომელშიც ყოველი ერი თავისუფლად ირჩევს განვითარების გზას, თავისი ცხოვრების წესს — და ასეთი მსოფლიოსათვის ჩვენ ვიბრძოლებთ.

ჩვენ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რევოლუციის საქმეში, მის მონაპოვართა დაცვაში, ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩვენი წვლილის მაღალი შეფასებისათვის, რომელსაც შეიცავს მიმართვა პარტიის ვეტერანების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილეების, საბჭოების ხელისუფლების დასამყარებლად აქტიური მებრძოლებისადმი და აღვუთქვამთ, რომ კვლავაც მუდამ ვიქნებით მშობელი ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმეც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ხანას!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის ნაცად ავანგარდს — საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

ხელს აწერენ:

ნ. მ. გორბოვეცი (სკკპ წევრი 1911 წლიდან); ლ. მ. დაშევსკაია, მ. მ. კრუსტინსონი, ს. ბ. ხოდაკოვა (სკკპ წევრები 1912 წლიდან); რ. ე. შაინსკაია (სკკპ წევრი 1913 წლიდან); კ. ბ. ჩუდინოვა (სკკპ წევრი 1914 წლიდან); ი. ი. ზლატკინი (სკკპ წევრი 1915 წლიდან); ნ. ა. აბრამოვა, ა. შ. გორკინი, ა. მ. ზისერმანი, ა. ი. კოლპაკოვა, ც. ი. ლუსკინა, ო. ბ. შატუნოვსკაია (სკკპ წევრები 1916 წლიდან); ა. ა. აბრამოვი, ხ. ხ. ალიკი, კ. ბ. ბალაკინა, ე. ი. ბარსკაია, ვ. ვ. ბერდნიკოვა, ნ. ი. გურცევი, ე. ა. ბილიაროვა, ზ. ბ. გორსკი, ი. ი. ბრინჯინი, ვ. ი. ბუდოვი, ბ. ბ. გუსტავსონი, ს. მ. დლუგოლენსკაია, შ. ს. დოროფეევი, ე. ა. ეტინგოფი, ა. ა. ვართანიანი, კ. ბ. ვასილკოვსკი, მ. ს. ვინოგრადოვა, შ. ბ. ვოვჩენკო, ბ. ი. ვორონოვა, ე. ი. ვორონცოვი, ა. ა. ზემეცი, დ. ი. ზორინა, ს. მ. ზუბოვი, ო. შ. ილინა, შ. ი. იბპინა, ც. ა. კოგანი, ვ. ა. კონსტანტინოვი, ა. ი. კოსოი, ს. ს. კრავჩუკი, ვ. ტ. კრეტოვი, ი. ბ. კრილოვი, ბ. ვ. კუბასოვი, ლ. ლ. კუზნეცოვა, ე. ნ. კუკინა, რ. ი. ლეონკოვა, ი. ხ. ლეონკოვული, ე. ი. ლეზინი, ა. ა. ლიპინსკაია, დ. მ. ლოგინოვი, ს. ი. მალაშკინი, ნ. ბ. მახარაძე, ბ. ი. მენდე, შ. ზ. მინაილენკო, ს. მ. მინაილენკო, ს. მ. მიტიაროვი, კ. ბ. ნარბუტი, ლ. ა. ნევსკაია, მ. ტ. ნაგოვიცინი, ლ. ლ. ოლშევსკაია, ა. მ. ორლოვა, ო. ვ. პანოვა, ლ. რ. პორტნოვი, ხ. დ. პროხოროვა, დ. ხ. ქირკოვა, დ. ა. რახმანი, მ. ს. რეინსერი, ს. ი. რომიზოვი, მ. ნ. საბაუნიკოვი, ვ. ვ. სემენჩენი, პ. გ. სენკოვი, შ. ვ. სერიოგინი, კ. ა. სინოზერსკი, ე. ბ. სიტკოვსკი, შ. ვ. სლავინა, ნ. ნ. სოკოლოვი, ვ. ტ. სუხოროუკოვი, ნ. ტასიმოვი, ა. ი. ტიმოფეევი, ა. ბ. ტურპენკო, ი. ნ. ფლაქსერმანი, მ. ა. შამგერგი, გ. ა. შაცი, ა. კ. შუკი, გ. მ. შულკინა, ნ. დ. ჩანიშევი, ს. გ. ჩერემნიხი, შ. ი. ჩიკირისოვი, ლ. ს. ცეიტლინი, მ. შ. ხაბოვსკაია (სკკპ წევრები 1917 წლიდან); ე. მ. არუთინიანი, ს. ს. გრიგორიანი, ა. ა. ვარბანოვი, ვ. ი. კ�ელიოვი, ე. ს. სარკისიანი, შ. ნ. შლემოვა-ახუნდოვა (სკკპ წევრები 1918 წლიდან); ა. არტიკოვი, დ. შ. ბაირამოვა, ა. კ. კაზარიანი, ვ. ს. კრასულინი, ი. კ. მაბუსეევი, მ. ს. კოგედონოსცევი, ნ. ვ. ულანი, ა. მ. რიეოვი, ნ. ვ. სიმონოვი, ე. ე. სმილგა, ა. მ. შუვალოვი (სკკპ წევრები 1919 წლიდან); მ. იდიეევი, ი. პ. ლოკუხოვი, შ. ს. მოისეევი, რ. ა. ჩერნიახოვსკი (სკკპ წევრები 1920 წლიდან); ი. ბ. ბაბუშკინი, ა. ვ. ბულატოვი, ა. მ. იკმაგამბეტოვი, დ. ა. კოლტაევა, მ. ი. ჯაში (სკკპ წევრები 1921 წლიდან); ი. ა. კუზნეცოვი (სკკპ წევრი 1922 წლიდან); შ. ს. კროტიტორი, ვ. დ. სტირიოვი (სკკპ წევრები 1924 წლიდან); კ. ი. ვასილევსკი, ს. ა. ვოლკოვი, ს. ა. მაკაბონოვი, ბ. ბ. ბაკინი, ა. მ. პუზანოვი (სკკპ წევრები 1925 წლიდან); ლ. ვ. ბრომოვი, ა. ა. ვეტროვი, მ. ვ. კალიაკინი, ნ. ი. მინინი, შ. შ. სივოკონი, ი. ა. ტურჩინი, ნ. დ. უნდასინოვი, (სკკპ წევრები 1926 წლიდან); ბ. ნ. ბინჩუკი, მ. დ. კოზინი, ნ. ი. კლოტნიკოვი, ა. ა. შურიგინი (სკკპ წევრები 1927 წლიდან); ა. ს. ვლასოვი, ბ. ა. საენკო (სკკპ წევრები 1928 წლიდან); მ. კ. ბაირამოვი, შ. იბანალიევი, ა. ბ. რიეკოვი, რ. ი. შარბაიტისი (სკკპ წევრები 1929 წლიდან); მ. ი. ბოგდანაიტე (სკკპ წევრი 1930 წლიდან); ა. დ. ბოგოდინი (სკკპ წევრი 1932 წლიდან); ვ. ნ. ნოვიკოვი (სკკპ წევრი 1936 წლიდან); ზ. ხ. დიაგინი (სკკპ წევრი 1937 წლიდან); ნ. ი. ბოლუბაევი, ა. შ. ჩიგა (სკკპ წევრები 1938 წლიდან); დ. ბ. ბასილოვი, მ. ი. ნოვოხატსკი, ა. ბ. შიტიკოვი (სკკპ წევრები 1939 წლიდან); კ. ტ. მაზუროვი, ვ. ა. ეოსოვი (სკკპ წევრები 1940 წლიდან) და სხვები. წერილს ხელი მოაწერა 901 კაცმა.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

პატივცემულო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

კვლავ მოგესალმებით თქვენ — უკვე როგორც ამ ჩვენი შეხვედრის მონაწილეებს, რომელიც ყველა თვალსაზრისით უჩვეულოა, ასახავს იმ სიღრმისეულ ცვლილებებს, თანამედროვე მსოფლიო რომ განიცდის.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მადლობა მოგახსენოთ ჩვენთან ჩამოსვლისათვის, ჩვენს დღესასწაულში მონაწილეობისათვის. ეს ჩვენთვის პატივიც არის და დიდი მხარდაჭერაც.

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! ყველანი ესწრებოდით საზეიმო სხდომას, რომელიც ოქტომბრის 70 წლისთავს მიეძღვნა. ეს მათავისუფლებს იმის საჭიროებისაგან, რომ კვლავ შევეხო ჩვენს საქმეებს. აქ მინდა გაგიზიარო ზოგიერთი მოსაზრება — იმის განსაცოცხლებლად, რაც მოხსენებაში ვთქვი.

როცა ევროპასა და მსოფლიოში დაცხრა მძლავრი რევოლუციური ტალღა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ წარმოშვა, ვ. ი. ლენინი სხვებზე ადრე მიხვდა იმ შიზნებისაკენ წინსვლის მთელ სირთულეს, რომლებიც რევოლუციამ, როგორც ბევრს ეგონა, ასეთი ახლოგელი გახადა. ნების მისეულ კონცეფციას მშვიდობიანი თანაარსებობის („მშვიდობიანი თანაცხოვრების“) მისივე ეგზა გადაჰყავდა თავდაპირველად მხოლოდ პოლიტიკური, ის კი არა დიპლომატიური სფეროდან ეპოქის ფუნდამენტური კანონების სფეროში.

მოგვიანებით, მართალია, ზოგჯერ იმარჯვებდა ხოლმე სხვაგვარი წარმოდგენებიც, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავძლიეთ ისტორიასთან ცბიერობის ცდები, როცა დროდადრო ვითვალისწინებდით არა იმას, რაც იყო, არამედ რის დანახვაც გვინდოდა.

80-იან წლებში მკაფიოდ გამოიკვეთა მსოფლიო განვითარების თავისებურებანი, რომლებიც გროვდებოდა და მწიფდებოდა მთელი ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში. ეს უწინარეს ყოვლისა არის ბირთვული ეპოქის თავისებურებანი, რომელმაც წინა პლანზე დააყენა კაცობრიობის გადარჩენის პრობლემა. ეს, შემდეგ, არის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიერ სტიმულირებული მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობის გართულების, მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების პროცესი, მრავალფეროვნებისა და წინააღმდეგობრიობის პირობებში მისი მთლიანობის ჩამოყალიბება. ეს, ბოლოს, არის ის გამწვავებული გლობალური პრობლემები, რომლებიც სათუოს ხდის, რომ ადამიანი ბიოლოგიურად შეეგუოს თანამედროვე ცხოვრების საშიშროებებს, სტრესებსა და პროცესებს.

ყოველივე ეს ახლებურად წარმოაჩენს მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის არსს, რაც პოლიტიკური მოძრაობებისაგან მოითხოვს თავიანთი ამოცანების ახლებურად გაანალიზებასა და გააზრებას, შექმნილი იდეოლოგიური სქემებისა და სტერეოტიპების დაძლევას.

ეს ადვილი საქმე არ არის, არც ერთ მათგანს მზა რეცეპტები არა აქვს. ალბათ არავის არ უკვიჩია ზელში არაადნეს ძაფი, რომელიც ახლანდელ წინააღმდეგობებით აღსავსე მსოფლიოს ლაბირინთიდან გამოიყვანდა. როცა ახალი აზროვნების ჩვენეულ კონცეფციას ვაყალიბებთ, სულაც არ ვეჩემულობთ ჭეშმარიტების ფლობის მონოპოლიას: ჩვენ თავად ვეძებთ და სხვებსაც ვთავაზობთ ერთად გამოვძებნოთ გზები, რომლებითაც დღევანდელობის „დანაღმულ ველზე“ გავლით კაცობრიობა მიაღწევს XXI საუკუნეს, უბრთვოსა და უძალადოს.

რა თქმა უნდა, ისტორიულ პერსპექტივაში სწორედ სოციალიზმი — ასეთია ჩვენი რწმენა — შეიტანს გადამწყვეტ წვლილს იმ კრიზისული წერტილების დაძლევაში, რომლებიც ცივილიზაციის განვითარებაში წარმოიქმნება. სწორედ ასე მოუვიდა, მაგალითად, კაპიტალიზმის მიერ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამოყენებას. რა თქმა უნდა, კაპიტალისტური წყობილების შინაგანი ანტაგონიზმები ყოველ ახალ ეტაპზე კვლავ წარმოიქმნება, მაგრამ უკვე ახლებურად, სხვაგვარად.

თუმცა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალი ტექნოლოგიური ეტაპი მხოლოდ დასაწყისშია, და ამ ეტაპზე მისი კაპიტალისტურად გამოყენებისთვი ვრცელი ფერადოვანი ფაქტორის ერთიანობას, წინააღმდეგობრიობას, შეჯიბრებასა და ურთიერთმოქმედებას. სწორედ ამ სხვადასხვა საზოგადოების ურთიერთმოქმედებაში თითოეული თავის გამოცდას აბარებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მათს რაღაც გაერთიანებას, რაღაც კონვერგენციას.

ჩვენ იოტის ოდენადაც არ დავთმობთ სოციალიზმის ნამდვილ ღირებულებებს, პირიქით, გავამტკიცებთ მათ, განვავითარებთ მათ, თავიდან მოვაშორებთ ყველაფერს, რაც ამახინჯებდა ჩვენი წყობილების ჰუმანისტურ აზრს. სრულიადაც არ ვეცილებოდ იმას, რომ „შეგვიყვაროს“ კლასობრივმა მოწინააღმდეგემ. ეს სრულიადაც არ გვჭირდება. ჩვენ იმის იმედი გვაქვს, რომ ცხოვრება აიძულებს მას ანგარიში გაუწიოს რეალებს და შეიგნოს, რომ ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ იგი არ გადაბრუნდეს.

სოციალიზმისათვის ამ კურსში თითქოს ერთმანეთს შეიწყმიდა კლასობრივი ინტერესები როგორც წყობილების ინტერესები და ზოგადსაკაცობრიო ინტერესებიც. და კაპიტალიზმს არა აქვს სხვა გონივრული გზა, გარდა თანაარსებობისა და შეჯიბრებისა.

მხოლოდ ერთად შეგვიძლია შევაღწიოთ და თავიდან მოვაშოროთ ეკოლოგიური „ინფარქტის“ გლობალური საშიშროება. პრობლემა დიდი ხანია ინტერნაციონალური გახდა. საეჭვოა, რომ ცალ-ცალკე შეიძლებოდეს რადიკალურად გადაეჭრათ ენერგეტიკული პრობლემაც, მით უმეტეს ავითვისოთ მსოფლიო ოკეანის სიმდიდრე. და ბოლოს, კაცობრიობის მხოლოდ კოლექტიურ გონებას შეუძლია დედამიწისიერგვლივ სივრცის სიმაღლეების დაპყრობა, შემდეგ კი მზისირგვლივი და ვარსკვლავეთის კოსმოსისა.

ნათქვამის მიხედვით არნახულად დიდია თანამედროვეობის მოწინავე ძალების ინტერნაციონალური პასუხისმგებლობა, რომელთა შორის ღირსეული და ავტორიტეტული ადგილი უკავია და კვლავაც იკავებს კომუნისტურ მოძრაობას.

წარმოვადგენ რა აქ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მინდა რამდენიმე სიტყვა დავუმატო იმას, რაც ბის შესახებ ვთქვი გუშინწინ მოხსენებაში. ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს თანამედროვე მსოფლიოში, კომუნისტურ მოძრაობას სჭირდება განახლება, თვისებრივი ცვლილებები.

ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იგი არა მარტო ეროვნული, არამედ თავისი ბუნებით ინტერნაციონალური ძალაა. ასეთი ძალა სჭირდება თანამედროვე კაცობრიობას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მას თავისი საშინაო გეგმები და საქმეები ვერ წარმოუდგენია საერთაშორისო კონტექსტის გარეშე და, რა თქმა უნდა, იმ მნიშვნელობასთან შეფარდების გარეშე, რომელიც მათ აქვთ ან შეიძლება ჰქონდეთ ადამიანების ჩვენი თანამოძმეებისა და საერთოდ მოწინავე ძალებისათვის. ჩვენ თვითონ ძლიერ ვიგრძენით უძრაობის პერიოდში როგორ მცირდებოდა სოციალიზმის ინტერნაციონალური იმპულსი, ასე რომ, გარდაქმნა სსრ კავშირში ამ თვალსაზრისითაც მომწიფდა. სავსებით გვესმის ჩვენი მუშაობის მნიშვნელობა ახალ ეტაპზე არა მარტო მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალიზმის, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების მორალური მხარდაჭერის თვალსაზრისითაც.

მაგრამ საკმარისი არ არის მხოლოდ პარალელური საქმიანობა ჩვენ-ჩვენს ქვეყნებში. საჭიროა თანამოქმედებაც, რა თქმა უნდა, თანამედროვე ფორმებით. საჭირო იქნება პროგრესული ძალების, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო სრულყოფილი **ურთიერთობის კულტურა.** ისეთი, რომელიც თავს მოუყრიდა მთელ მრავალგვარ გამოცდილებას და ხელს შეუწყობდა მთელი მრავალფეროვნებითა და წინააღმდეგობრიობით აღსავსე გარე სამყაროს გაგებას. „ყოველსმცოდნეობის ქედმაღლობა“ ეხათესავება შიმს, ვაითუ ვერ ავითვისო ახალი პრობლემებიო, მოწმობს მყარ ჩვენას ერთბაშად უარყოფდე სხვა თვალსაზრისებს. აქ არც დიალოგი, არც პროდუქტიული დისკუსია არ გამოდის. და რაც თავავრია, აგებს საქმე.

როგორც საუკუნის დამდეგს არ შეიძლებოდა მარქსისა და ენგელსის მიერ წამოყენებული ყველა დებულების დოგმატურად გავრცელება იმპერიალიზმის ეპოქაზე, ასევე მით უფრო არ შეიძლება ამგვარი ოპერიკული შეხედულება, თუ თანამედროვეობას 50-იან, 60-იან და 30-იან წლებშიც კი წარმოშობილი პოსტულატების ფეშენებთან ვიფასებთ, საჭიროა ახლებურად წავიკითხოთ ჩვენი წინამორბედების მიერ ადამიანის სოციალური განთავისუფლებისათვის შექმნილი თეორიული მემკვიდრეობა, ისეთი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიქონიოთ ახალ რეალობათა ზუსტი ანალიზი და ჩამოვაყალიბოთ ოპტიმალურად სწორი პოლიტიკური დასკვნები.

ანტაგონისტური საზოგადოებისა და მსოფლიო ასპარეზზე კონფრონტაციული დაძაბულობის პრაგმატული ალტერნატივის ძიებისას პასუხს ვეღარ ბევრი კითხვა. ჩვენმა პარტიამ, მისმა თეორიულმა, მეცნიერულმა ძალებმა სერიოზულად მოჰკიდეს ამ ხელი, და ამით თავისუფლდებიან წარმოდგენებისა და სქემებისაგან, რომელნიც სხვა დროებამ და სხვა შემოქმედებითმა შესაძლებლობებმა შვა.

თანამშრომლობისათვის, ერთობლივი ძიებისათვის ვიწვევთ არა მარტო მოძმე პარტიებს, კომუნისტებს, არამედ სოციალ-დემოკრატებს, ლიბერისტებს, პოლიტიკური აზრისა და მოქმედების სხვა მიმართულებათა წარმომადგენლებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ადამიანის სულის მანაბოვარნი, ვისაც სურს შეინარჩუნოს და გამოიყენოს იგი მომავალი თაობებისათვის. ეს მუშაობა საარსებრდ მნიშვნელოვანია ახალი ვითარების გასაგებად, როცა ცივილიზაციის განახლ.,ბა დაუკავშირდა ადამიანთა მოდგმის გადარჩენის ამოცანას.

ახალი აზროვნება — ეს არის ახალი მორალიც, ახალი ფსიქოლოგია. მისი მიზანი ის არის, რომ თითოეული ადამიანი — თავისი ქვეყნის მოქალაქე, თაკისს პარტიის წევრი, ნებისმიერი პროგრესული ეროვნული მოძრაობის აქტივისტი — განიმსჭვალოს პასუხისმგებლობით ითისთვისაც, როგორი იყოს მთელი მსოფლიო და იყოს თუ არა იგი საერთოდ.

საუბრები კრემლში

8 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის შეხვედრა.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ამა წლის აპრილში მიღწეულ მორიგებებს, განსაკუთრებით სკკპ XXVII ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მუშაობის ახლანდელი პასუხსაგები ეტაპისათვის. ითქვა, რომ სსრ კავშირში გარდაქმნის პროცესი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის გამიზნული ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა კურსი ხელშემწყობ პირობებს უქმნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ დარგებში მომძლე ქვეყნების ურთიერთობის ყოველმხრივ გაფართოებას.

გ. ჰუსაკმა გულითადად მიულოცა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი.

* * *

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნაჯიბულას.

გაიმართა მეგობრული, დაინტერესებული საუბარი პრობლემებზე, რომლებიც უნდა გადაჭრან საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ. მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ მხარს უჭერენ ეროვნული შერიგების პოლიტიკას და ღონისძიებებს.

დასასრული მე-2 გვ.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება წიგნად გამოიცა

გამოვიდა ბროშურა „მ. ს. გორბაჩოვი. ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება. მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში 1987 წლის 2 ნოემბერს“.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდისი).

საუბრები კრემლში

(დასასრული)

ბებს, რომლებსაც ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებენ ავღანეთის ვითარების პოლიტიკური მოწესრიგების, სამშობლოში საბჭოთა ჯარების დაბრუნების მიზნით.

ამხანაგმა ნაჯიბულამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ავღანელი ხალხისადმი უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

* * *

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურ მდივანს ი. კადარს.

გაიმართა გულახდილი და დაინტერესებული ამხანაგური საუბაასი სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების ახლანდელ ეტაპზე ორი პარტიის საქმიანობის შესახებ. აღინიშნა რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, შემოქმედებითად უდგებიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას, რომ ისინი ცდილობენ კიდევ უფრო გააღრმავონ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა.

ი. კადარმა დიდი შეფასება მისცა საიუბილეო ზეიმს სსრ კავშირში. საბჭოთა კომუნისტების მიერ განვლილი გზისა და მათ წინაშე დასახული ამოცანების ანალიზისადმი ფხიზელი, აწოწდაწონილი მიდგომა, თქვა მან, დამაჯერებლად ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად განაგრძობს დიდი ოქტომბრის საქმეს.

* * *

4 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის კომუნისტების სახელით მიულოცა მ. ს. გორბაჩოვს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის იუბილე და უსურვა წარმატებები სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული გარდაქმნის კურსის შესრულებაში.

საუბრის დროს დიდი ყურადღება მიეპყრო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ა. წ. მაისში მ. ს. გორბაჩოვსა და ნ. ჩაუშესკუს შორის მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციის საკითხებს. ორივე მხარემ დაადასტურა, რომ დაინტერესებული არიან გააფართოონ და გააღრმაონ თანამოქმედება ყველა სფეროში, გამოიყენონ საამისოდ ახალი ფორმები, რომლებიც შეესაბამება განვითარების ახლანდელი ეტაპის მოთხოვნილებებს და ორი ქვეყნის გაზრდილ პოტენციალს.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

* * *

4 ნოემბერს კრემლში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჟ. მარშეს ხანმოკლე მეგობრული შეხვედრა.

ჟ. მარშემ უღრმესი კმაყოფილება გამოთქვა ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულში საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციის მონაწილეობის გამო. მან დიდი წარმატება გვისურვა გარდაქმნისა და საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების ნამდვილად მტკიცე სისტემის შექმნის კურსის შემდგომ განხორციელებაში. მ. ს. გორბაჩოვმა ფრანგ კომუნისტებს ყოველივე საუკეთესო უსურვა დემოკრატიის, მშრომელთა უფლებების, მშვიდობისათვის ბრძოლაში. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ორ პარტიას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

* * *

ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის (ი) გენერალურ მდივანთან რ. რ. რამთან ხანმოკლე საუბრისას მ. ს. გორბაჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა რამს საბჭოთა ხალხის ზეიმში მისი პარტიის დელეგაციის მონაწილეობისათვის.

დიადი ინდოეთის ხმა, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ყველგან უნდა ისმოდეს. მან რამს გულითადი სალამი დაუბარა ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან რაჯივ განდისთან.

რ. რ. რამმა თქვა, რომ ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) წარმომადგენლებს დიდ სიხარულს ანიჭებს დაესწრონ ინდოელი ხალხის სახელით მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენის იუბილეს ზეიმს. მან მ. ს. გორბაჩოვს ყოველივე საუკეთესო უსურვა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) თავმჯდომარის, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის სახელით.

(საკდესი).

მზადყოფნა ზამთრისათვის



რემონტის შემდეგ მწყობრში ჩადგა თბილისის ლენინის 50 წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამი ენერგობლოკი. რესპუბლიკის უდიდესი თბოელექტროსადგური მზად არის ზამთრის პირობებში მუშაობისათვის.

მიმდინარე წლის ცხა თვეში თბილისის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა საკავშირო ენერგოსისტემას მისცა თითქმის 4,2 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რითაც ძირითადად მოემსახურა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია გაზრდის მისი რვა ენერგობლოკის სიმძლავრეს.

თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივმა გადაწყვიტა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად წლიური გეგმის დამატებით გამოიმუშაოს 20 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ნუშრომებზე: მართვის ცენტრალური ფარის ცვლის უფროსი, კომკავშირელი თამაზ ხაჩიძე; ცენტრალიზებული რემონტის საამქროს მუშაკები, რომლებმაც უზრუნველყვეს სამი ენერგობლოკის ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემა; ზეინკლები მ. ფაშაევი, ტ. ახალმოსულიშვილი, უფროსი ინჟინერ-ინსპექტორი ბ. ბერესლავსკი, უფროსი ინჟინერი ბ. ალავიძე და უფროსი ოსტატი გ. მახარაშვილი (მარცხნიდან).

ი. ულანოვისა და ვ. ტერეშჩენკოს ფოტო. (საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „გარდაქმნისადმი ხელმძღვანელობისათვის მუშაობის თაობაზე არჩევითი ორგანოების ანგარიშების განხილვასთან დაკავშირებით პარტიული კომიტეტების პლენუმებისა და კომუნისტთა კრებების მოწყობის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად პარტიაში უნდა მოეწყოს პარტიული კომიტეტების პლენუმები და კომუნისტთა კრებები, რომლებიც განიხილავენ არჩევითი პარტიული ორგანოებისა და მათი მდივნების ანგარიშებს გარდაქმნისადმი ხელმძღვანელობის შესახებ. პლენუმები უნდა გაიმართოს ყველა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტში, კრებები კი პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებსაც სათავეში უდგანან ბიუროები და პარტკომები.

მომავალი ანგარიშების პოლიტიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს იმის საჭიროება, რომ მოვუმატოთ მუშაობას პარტიის ყველა რგოლში, ყველა დონეზე, აღმოვფხვრათ მთელი რიგი პარტიული კომიტეტების ჩამორჩენა საარსებო პროცესების დინამიკური განვითარებისაგან.

მომთხოვნელი შეფასება უნდა მივცეთ საკუთარ საქმიანობას, გავეცნოთ პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის ვითარება, ახალი ძალები შევმატოთ იმ კომუნისტებს, პარტიულ კომიტეტებს, მათს ხელმძღვანელებს, რომლებიც გარდაქმნის ავანგარდში არიან, დავასახელოთ ისინი, ვინც აფერხებს მას.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პლენუმებზე გარდაქმნის განხორციელების შესახებ შესაბამისი კომიტეტების ბიუროებისა და მათი მდივნების ანგარიშების განხილვა მოეწყოს 1987 წლის ნოემბერ — 1988 წლის იანვარში. ამავე ვადებში დასახულია პირველადს ორგანიზაციათა კრებებზე ბიუროებისა და პარტკომების, მათი მდივნების ანგარიშების მოსმენა. მსგავლ პარტორგანიზაციებში ანგარიშები შეიძლება მოისმინონ საქალაქო, რაიონული კომიტეტების შეხედულებისამებრ პარტიულ კონფერენციებზე ან კომუნისტთა კრებებზე, რომლებიც მნათესავე საამქროების ცვლებში, ჯგუფებში ეწყობა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ არჩევითი პარტიული ორგანოებისა და მათი მდივნების ანგარიშების მოსმენა ბოლშევიკური გულახდილობის, საჯაროობის, კონსტრუქციული კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით, ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე, არ გადააქცევინ კრებები რეჟისორის მიერ მოწყობილ სხდომებად.

ყოველი პარტიული კომიტეტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ — რეალური ძვრები უკეთესობისაკენ, ხელშესახები შედეგები ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროში. განხილვამ სრულად და გარკვეულად უნდა უპასუხოს: მეთაურობს თუ არა პარტიული ორგანიზაცია განახლების პროცესს, ანიჭებს თუ არა მისი საქმიანობა შემოქმედებით იმპულსს ადამიანებს, არის თუ არა საგრძნობი ღონისძიებანი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებაში, მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, მათი კეთილდღეობის გაუჯობესებაში.

ანგარიშების დროს უნდა შეივიშუშოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ღრმა დემოკრატიზაციას თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში, დაამკვიდრებს ნამდვილი ამხანაგობის, განხილვის თავისუფლებისა და კომუნისტთა ერთიანი მოქმედების ატმოსფეროს პარტიულ გარემოში. ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ აზრი პარტიაში და მთლიანად საზოგადოებაში დემოკრატიის შემდგომი განვითარების საკითხებზე. განვიხილოთ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე ჩვენი ეკონომიკის გადაყვანასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციათა მუშაობის შინაარსი და კონკრეტული ამოცანები. მთელი ყურადღება მივაპყროთ ბიუროკრატიზმის, გათანაბრების, სხვისი მოიმედობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

პლენუმებისა და კრებების მომზადების პროცესში უნდა ვეთათბირებოდეთ მშრომელებს, მთელ საზოგადოებრიობას, რათა შევიტყვლოთ და გავითვალისწინოთ მათი აზრი პარტიული კომიტეტების საქმიანობის შესახებ. უზრუნველყოთ სრული საჯაროობა, ფართო შესაძლებლობანი დემოკრატიული განხილვის, დისკუსიების მოწყობისათვის, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც, თითოეულ კოლექტივში, რაიონსა და ქალაქში გარდაქმნის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საჭიროა პლენუმებისა და კრებების მუშაობაში მონაწილეობდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოების წარმომადგენლები, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები.

პარტიული კომიტეტების პლენუმებმა და კომუნისტთა კრებებმა ბიუროების, პარტკომების ანგარიშების გამო გარდაქმნის მიმდინარეობის ღრმა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მომზადებული შეფასება უნდა მისცენ არჩევითი პარტიული ორგანოების, მათი მდივნების საქმიანობას, გადაწყვიტონ მომწიფებული საკადრო საკითხები. თუ განხილვის დროს დადგება არჩევითი ორგანოს ხელმძღვანელობის განმტკიცების ან მისი შემადგენლობის შევსების საჭიროება, პარტიული კომიტეტის პლენუმს, პირველადი, საამქრო ორგანიზაციის კომუნისტთა კრებას (კონფერენციას) შეუძლია შეცვალოს ამ ორგანოს ცალკეული წევრები, გამოიყვანოს იქიდან ის მუშაკები, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მოვალეობებს ან სახელი გაიტეხეს, ხოლო ბიუროს, პარტკომის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში, გადაირჩიოს ისინი.

დადგენილებით გათვალისწინებულია გარდაქმნის პრობლემების, პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიზაციის საკითხებზე პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და კომუნისტთა კრებებზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადებისა და პრაქტიკულ მუშაობაში დასკკპ XIX საკავშირო კონფერენციისათვის მასალების მომზადების დროს განხილვის შედეგების გამოყენების ღონისძიებანი.

საოქტომბრო ნობათები

ქუთაისი. მოტობლოკების ადგილობრივ საერთაანებაში ვადამდე გამოუშვეს ახალი კლასის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების პირველი საცდელი პარტია. ეს ტრაქტორები განკუთვნილია ფერილკონტურიან უბნებზე სამუშაოდ. მცირე ზომა, ხელმისაწვდომი ფასი, კიდული იარაღების ფართო ასორტიმენტი უეჭველად მიიზიდავს მყიდველებს — სოფლის მშრომელებს, რომლებიც შეძლებენ ახალი მანქანის გამოყენებას საკარმიდამო ნაკვეთებში.

საწარმოს კოლექტივმა, რომელმაც შეასრულა ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და გამოუშვა პირველი 10 ტრაქტორი, გადაწყვიტა ასევე ვადამდე უზრუნველყოს ახალი მანქანის სერიული გამოშვება.

